თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნათესავი!

# ერთობა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№14 პარასკევი, 23 მარტი 1990წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისი. 1990 წლის 13 მარტი

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია

13–15 მარტს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომლის ინიციატორები იყვნენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, მონარქისტული პარტია და თეთრი გიორგის კავშირი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებულმა ყველა ეროვნულ-პოლიტიკურმა პარტიამ, თუ ორგანიზაციამ, სხვადასხვა დარგის ორასამდე წარმოება-დაწესებულებამ და საქართველოს ყველა რეგიონიდან ჩამოსულმა წარმომადგენლობამ.

კონფერენციის ჩატარებას ჰქონდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან არჩეულ იქნა ფორუმი, რომელიც მოამზადებს ეროვნულ ყრილობას; ჯერ კიდევ 15 მარტს, კონფერენციის მესამე დღეს მრავალმა პატივცემულმა პიროვნებამ მოხსნა თავისი კანდიდატურა. აშკარა კრახის პირას მისული არჩევნები ხელისუფლებამ შემოდგომისათვის გადაიტანა.

პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ ფართოდ გააშუქეს კონფერენციის მუშაობა. ამიტომ, ალბათ საჭირო აღარ არის მისი დუბლირება. იმისათვის, რომ ყრილობაზე [illegible] მწვავე დებატებზე ნაწილობრივ წარმოდგენა მაინც შეგვექმნათ, გთავაზობთ ნაწყვეტებს სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლების გამოსვლებიდან, რომლებიც პრესაში არ გამოქვეყნებულა.

### ზვიად გამსახურდია

/ჰელსინკის კავშირი/



ეროვნულ ფორუმში უნდა გაერთიანდნენ ისინი, ვისაც აქვთ გარკვეული დამსახურება ეროვნული მოძრაობისა და საქართველოს წინაშე. უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ პირობებს და მათი პოზიცია უნდა ემთხვეოდეს ჩვენს საერთო პლატფორმას. ყველა ამ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში გააჩნიათ საერთო, გამაერთიანებელი პლატფორმა, რომლის აღიარების გარეშე ეროვნული ფორუმი ვერ იქნება შექმნილი. დღევანდელი პროცესი არის გაგრძელება 9 აპრილის დემოკრატიული, ეროვნული რევოლუციისა, რომელმაც გაშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც დღესაც გრძელდება და დაგვირგვინდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით.

— — — — — — — — — — — — — — —

დღეს ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი სამოკავშირო ხელშეკრულების დადება. "ის ძველი ხელშეკრულება იყო ცუდი და ახლა დავდოთ ახალი" – ამ აზრს ატარებს პოლიტიკური კლუბი, რომელიც ხალხის მოტყუების მიზნით ყოველდღე ტელევიზიით გამოჰყავთ. ქართველ ხალხს ყოველივე ამით უმზადებენ ახალ მახეს.

— — — — — — — — — — — — — — —

ხელისუფლება ცდილობს ბრძოლის ახალი ფორმებით დაუპირისპირდეს ქართულ ეროვნულ მოძრაობას. კერძოდ, ჩვენ მივესალმებით ბატონ ნოდარ ნათაძის დარბაზში დაბრუნებას, მას ვთვლი დამსახურებულ ეროვნულ მოღვაწედ, მაგრამ ფრონტთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ე.წ. სახალხო ფრონტს ხელისუფლება აშკარად იყენებს ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ,

**ბატონო ნოდარ**, დაუკვირდით იმ მოქმედებას, რასაც ეწევა ემიგრაციასთან დაკავშირებით სახალხო ფრონტის ზოგიერთი წევრი. მე თქვენ პირადად არ გდებთ ბრალს ამ დანაშაულში, მაგრამ თქვენს გამგეობაში არიან დამნაშავენი და სუკ-ის აგენტები. თქვენს გამგეობაში არიან ანტიეროვნული ელემენტები, რომლებიც ცკ-მ შემოიყვანა და დაგისვათ. ისინი წარმართავენ ფრონტის მუშაობას და არა თქვენ. ლამის სამოქალაქო ომამდე მიიყვანონ საქართველო. დეზინფორმაციას აგზავნიან უცხოეთში, საქართველოს ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებით, და სხვათა შორის ფრონტთან დაკავშირებითაც, რომ ფრონტი არის უპარტიო ორგანიზაცია, მაშინ, როცა კომპარტიის წევრებით არის სავსე. ჯერ გაწმინდეთ ფრონტი კომპარტიის წევრებისაგან და სუკ-ის აგენტებისაგან და შემდეგ ვილაპარაკოთ.

ვინმე მამარდაშვილი, ანტიეროვნული ელემენტი, იღებს თავის თავზე მისიას, რომ უცხოეთის ემიგრაციას მიაწოდოს დეზინფორმაციები საქართველოს ეროვნული მოძრაობის შესახებ და ვითომცდა ერთადერთი **დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში სახალხო ფრონტია**. ისინი თქვენ ან უნდა ალაგმოთ, ან უნდა დაიშალოს ფრონტი. მე ვიღებდი დიდ მონაწილეობას ფრონტის ჩამოყალიბებაში იმ იმედით, რომ სახალხო ფრონტი ეროვნულ მოძრაობას ამოუდგებოდა მხარში და არა სუკ-სა და კომპარტიას, მაგრამ ამ დარბაზში ცკ-მ გამოგგვლიჯა ფრონტი, მაშინ, როდესაც მე წამიყვანეს სამეგრელოში, იქ შექმნილი ვითარების გამო აფხაზეთთან დაკავშირებით, და ვერ მოვახერხე მდგომარეობის გაკონტროლება, სწორედ იმ დროს შემოგვიყარეს ფრონტის გამგეობაში მთელი აგენტურა, ბ-ნო ნოდარ.

— — — — — — — — — — — — — — —

მეგობრებო, ჩვენ ხშირად გვაბრალებენ ბოლშევიკობას. ჩვენი თხოვნაა ჩვენგან ნურავითარ კულტს ნუ შექმნით. ჩვენ მონოპოლიაზე არავითარი პრეტენზია არა გვაქვს. ხმებს ავრცელებენ: არიქა მთავრობას აცხადებენ, მთავრობაში ჯდებიანო". ზოგმა თვითმარქვიებიც კი გვიწოდა. ჩვენ არაფერს ისეთს არ დავირქმევთ, რასაც ქართველი ხალხი არ გვიწოდებს.

ჩვენ ხელისუფლებისათვის არ ვიბრძვით და პირადად მე იმასაც გეტყვით, რომ არცერთ ხელმძღვანელ პოსტზე ჩემს კანდიდატურას არ დავაყენებ. ჩვენ გთავაზობთ გზას, თუ მოიწონებთ, მოიწონეთ. აქ არ არის არავითარი აზრის თავს მოხვევა. თუ მართებულს გეტყვით, დაგვიჯერეთ და თუ უმართებულოდ მოგეჩვენოთ რაიმე, გაგვაკრიტიკეთ. ჩვენი აქ ჯდომა არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად ჩვენ უნდა დაგვიჯეროთ.

### ირაკლი წერეთელი

/ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია/



ე.წ. უზენაესი საბჭოს მიერ სამოკავშირეო ხელშეკრულების ბათილად გამოცხადება სწორია და აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ვინაიდან სსრკ საერთაშორისო სამართლის წინაშე მოქმედებს როგორც ერთი საერთაშორისო სუბიექტი ნებისმიერი დოკუმენტი, რომელზეც ხელი აქვს მოწერილი სსრკ-ს, ეთვლება საქართველოსაც. საერთაშორისო სამართალი ეყრდნობა არა ერთა ლიგის, არამედ გაერთიანებული ერების მიერ მიღებულ სამართალს, რომლის შემქმნის ერთ-ერთი ინიციატორი სამწუხაროდ არის სსრკ.

საქართველოს უზენაეს საბჭოს ჩვენ არაფერი არ უნდა მოვთხოვოთ გარდა თვითლიკვიდაციისა, რაზეც ვიკამათებთ გარკვეული პერიოდის შემდეგ. აუცილებლად ყველა დოკუმენტი უნდა გამოცხადდეს ბათილად. ეს უპირველესად უნდა შეეხოს საქ.სსრ კონსტიტუციას. მარტო სამოკავშირეო ხელშეკრულების ბათილად გამოცხადება და ანექსიის აღიარება არ ნიშნავს ყველაფერს. ეს იგივეა, რომ მხოლოდ ფაქტზე ილაპარაკო და არაფერი თქვა იმ უსიამოვნებებზე, რომელიც ამ ფაქტს მოჰყვა. მთელი მდგომარეობა უნდა შეფასებულ იქნას, ისე, რომ საქართველო არის ანექსირებული, ოკუპირებული და სუვერენიტეტწართმეული ქვეყანა. ეს თუ არ იქნა გამოცხადებული, არავითარი აზრი სამოკავშირეო ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას არა აქვს.

აქ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ გააკეთა განცხადება, რომ მთავარია დამოუკიდებლობის გამოცხადება და არა ის, თუ ვინ გამოაცხადებსო. ერთი შეხედვით ზნეობრივი და ლოგიკური განცხადებაა, მაგრამ მაინც არ არის ლოგიკური. ის ხალხი, რომლებიც 69 წლის მანძილზე არბევდა საქართველოს და მხოლოდ არსებულმა სიტუაციამ უკარნახა მათ ამ ნაბიჯის გადადგმა, უფლებამოსილნი არ არიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე დაიწყონ მოლაპარაკება. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ იმას, თუ ვინ გააკეთებს ამას, რამეთუ პიროვნული შემადგენლობა ყოველთვის განსაზღვრავდა კაცობრიობის ისტორიას. დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ტრადიციებზე აგებული და დაფუძნებული ძალები წარმართავენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მე არ მესმის, გივი გუმბარიძის კაბინეტი, რომელიც საკუთარი მკერდით გადაეფარა ლენინის ძეგლს, რა კატეგორიებიდან აყენებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. რატომღაც დამსწრე საზოგადოებამ არ გაამახვილა ყურადღება, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პოლიტიკური ძალაუფლების უზურპაციის მცდელობას, ოღონდ სამართლებრივ სტრუქტურაში გაფორმებულს მომავალი დამოუკიდებელი საქართველოსათვის და ძალიან გთხოვთ ყველა თქვენთაგანმა ეს გაითვალისწინოთ.

— — — — — — — — — — — — — — —

68 წლის განმავლობაში დღევანდელ სოციალ-დემოკრატებს თითი თითზე არ დაუკარებიათ ეროვნულ მოძრაობაში. დღეს ხდება ის, რომ ეროვნული მოძრაობის ავანგარდმა უნდა გააპოს, გაჰკვეთოს ჰაერი და შემდეგ ამოყვინთავენ სოციალ-დემოკრატები. იმედოვნებენ იმას, რომ ჩვენ ვიქნებით დაღლილ-დაქანცულნი და განაცხადებენ რომ "ჩვენ ვართ ერთადერთი პარტია ვინც სცნო ემიგრაციამო". ქართულ ემიგრაციას უნდა მიეცეს მკაცრი შეფასება და თუ არ გვეხმარებიან, ხელს მაინც ნუ შეგვიშლიან. საქართველოს ემიგრაციის ის ნაწილი, რომელიც არ სცნობს დღევანდელ ეროვნულ მოძრაობას, არც მეტი, არც ნაკლები, [redacted] სუკ-ის აგენტურა საზღვარგარეთ.

საქართველოს ემიგრაციას არავითარი მორალური და ზნეობრივი უფლება არა აქვს ჭკუა გვარიგოს. სოციალ-დემოკრატიული პარტია მშიშარა კურდღელივით გაიქცა. ბოლშევიკებმა თითქმის უსისხლოდ აიღეს საქართველო და ეხლა ის პირები, რომლებიც ცკ-ში მუშაობდნენ, აცხადებენ: "ჩვენ უნდა ვიყოთ განმათავისუფლებელი პარტია საქართველოშიო". ამიტომ ჯვაროსნული ომი უნდა გამოვუცხადოთ ამ მაფიოზურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

— — — — — — — — — — — — — — —

თავისთავად საფუძვლიანია იმის მტკიცება, რომ ანექსირებულ ქვეყანაში ძალიან ძნელია ჩაატარო დემოკრატიული არჩევნები, მაგრამ თუ მთელი ერი დადგება იმ პოზიციაზე, რომ არ შეიძლება საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა,

/დასასრული მე-2გვ./

/დასასრული/

ჩვენ გვექნება იმის საშუალება, ჩავატაროთ დემოკრატიული არჩევნები. ერთად-ერთი ხელისშემშლელი იქნება კრემლი თავისი შეიარაღებული ძალებით. მეტი ხელისშემშლელი ჩვენ არავინ გვეყოლება. ეროვნულ მოძრაობას ეყოფა ფინანსებიც და სხვა ძალებიც, რომ საარჩევნო კომპანია გაშალოს.

---

მოგეხსენებათ, ყოველ პარასკევს ეროვნული მოძრაობა აწყობს აქციებს. აქ წარმოდგენილი ხართ ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლობა. ჩვენი თხოვნაა დაესწროთ ამ აქციებს. მე და ბატონი ზვიად გამსახურდია გახლდით ერთ ინსტიტუტში, როდესაც წამოვსულვართ, ჩვენზე უთქვამთ: "ესენი ნორმალური ადამიანები ყოფილანო". ჩვენ ვგონივართ რაღაც კაციჭამიები, ტერორისტები. ამიტომ ინტელიგენცია ჩვენთან უნდა შემოვიდეს კონტაქტში. არ უნდა იყოს ეროვნულ მოძრაობაში გაუცხოების გრძნობა.

მეგობრებო, დღევანდელი დღე არ არის ჩვეულებრივი დღე. დღეს გარკვეულწილად საფუძველი ეყრება საქართველოს მომავლის განსაზღვრას. დღეს დიდი ისტორიული პროცესი დაიწყო საქართველოში. ამიტომ ერთი რაღაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ქართველს, ვინც ეროვნულ მოძრაობაში ჩაერთო, უნდა ჰქონდეს ისტორიული პასუხისმგებლობის გრძნობა შთამომავლობის წინაშე. სამწუხაროდ, ქართველ ერს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული არსებობის მანძილზე არაერთხელ დადგომია ისეთი ჟამი და მომენტი, როცა შეეძლო დაწინაურება და მას არაერთხელ გაუშვია ეს მომენტი ხელიდან. და თუ დღეს, მე-20-ე საუკუნის მიწურულს ქართველმა ერმა ეს მომენტი ხელიდან გაუშვა, მაშინ საქართველოს ისტორია კიდევ მთელი საუკუნით გადაიწევს უკან. ამიტომ ჩვენ საკუთარ ორგანიზაციულ, პარტიულ პოზიციებზე მაღლა უნდა დავაყენოთ ის საერთო პოზიცია, რომელიც გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას.

ჩვენ ვხედავთ ლიტვის მაგალითს, სადაც ჩვენნაირი ორგანიზაციები აბსოლუტურ უმცირესობაში არიან და ეროვნული გმირია ბრაზაუსკასი, რომელიც ახლა გადადგა და ძირითად ეროვნულ ძალად კომპარტია ითვლება, ჩვენ არ გვინდა ასეთი თავისუფლება.

ერთი კონკრეტული შემთხვევა მინდა გავიხსენო. იანვარში, როცა ცნობილი აქცია მიმდინარეობდა თბილისში, ჩვენი პარტიის წარმომადგენლები მუშაობდნენ ტრანსპორტის გაფიცვაზე, თითქმის ყველგან სახალხო ფრონტის წარმომადგენლები იდგნენ შესასვლელებში ადმინისტრაციასთან ერთად და ხელს გვიშლიდნენ მუშაობაში. აღარაფერს ვამბობ კოლმეურნეობების და ადმასკომ[illegible] მჯდომარეების მოხსნა-დანიშვნაზე და პორტფელების წინასწარ განაწილებაზე. გუშინ სახალხო ფრონტმა დასტოვა არა რაღაც კონკრეტული დარბაზობა და შეკრება, არამედ ეროვნული მოძრაობა.

იმ ტექსტს, რომელიც აქ წაკითხული იყო ირაკლი წერეთლის მიერ, ძირითადად მხარს ვუჭერ. დავა შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ დეტალებზე და ფორმულირებებზე. დღეს ჩვენ ვირჩევთ ფორუმს, რომელიც ფაქტიურად იმუშავებს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული კრების, ეროვნული ყრილობის მოწვევისათვის. ეროვნულ ყრილობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ყველა კუთხე, საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები არ შეიძლება პარიტეტის სახით შემოდიოდნენ. აქ ერთგვარი შეღავათები უნდა მიეცეთ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც იბრძოდნენ, იბრძვიან და იბრძოლებენ დამოუკიდებლობისათვის. ეს არ არის დემოკრატიის შეზღუდვა, ეს არის ელემენტარულად თავის დაცვის ხერხი, თორემ იგივე სოციალ-დემოკრატებს წარმატებით შეუძლიათ ხალხის ერთი ნაწილის წაყვანა თავიანთი აქცენტით სოციალურ პრობლემებზე.

ჩვენ თავი უნდა დავიზღვიოთ იმ ორგანიზაციებისაგან, რომლებიც აპირებენ კომპარტიისაგან ძალაუფლების გადმობარებას, ე.ი. თუ ჩვენ პოლიტიკოსები ვართ, ბუნებრივია უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც ხვალ მოგველის. ამიტომ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ამ პარიტეტის.

ირაკლი წერეთელმა შეიტანა შესწორება, რომ პარიტეტში ლაპარაკია იმ ძალებზე, რომლებიც დგანან არჩევნების ბოიკოტირების პოზიციაზე.

ყრილობამ უნდა აირჩიოს ორი დროებითი ორგანო, ერთი საკანონმდებლო, მეორე აღმასრულებელი, რომლის მთავარი მიზანია საყოველთაო, სახალხო, მრავალპარტიული და პირდაპირი არჩევნების მომზადება იმ მთავრობის არჩევისათვის, რომელიც ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყანას ესაჭიროება.

ახლა მინდა შენიშვნა გავუკეთო ბატონ გურამ მუჩაიძის გამოსვლას, არ არის სწორი იმის განცხადება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატებმა გამოაცხადესო. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა არა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ყოველთვის ანტიეროვნულ პოზიციებზე იდგა, არამედ ქართველმა ერმა და იმ ხალხმა, რომლებიც პოლიტიკურ კლიმატს ქმნიდნენ მაშინდელ საქართველოში. ახლა, თურმე დასავლეთში არსებულა ჩვენი მთავრობა, რომლის შესახებ ჩვენ არაფერი არ გვსმენია. ეს ცხადია არ არის სიმართლე და არავითარი ეროვნული საბჭო ბუნებაში არ არსებობს. აი, ამას უნდა გაესვას ხაზი.

## ლუიზა შაკიაშვილი

/ქეთევან წამებულის საზოგადოება/



მეგობრებო, მე მთლიანად ვეთანხმები ჩვენი კონფერენციის ინიციატორებს. დარბაზში მყოფი თუ დარბაზს მიღმა დარჩენილი ხალხის რაოდენობა ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდია ინტერესი ჩვენი კონფერენციისადმი. რაც შეეხება გარდამავალი, ოპოზიციური, კოალიციური ხელისუფლების არჩევას, მე მაინც მგონია, რომ სიტყვა ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, რამეთუ ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს ეს სიტყვა აშინებს, თუმცა კი ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ფაქტიურად საქართველოს ეროვნული მოძრაობა მართავს. ამას შეიძლება ზოგი აღიარებდეს და ზოგიც არა, მაგრამ შინაგანად თავის გულში, ყველამ კარგად იცის, რომ ეს ასეა.

ჩემის ღრმა რწმენით დღეს, ახლადარჩეულ პარლამენტში, სამას ადგილზე სამასი ზვიად გამსახურდია რომ მოიძებნოს, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რადგანაც ჩვენი ე. წ. პარლამენტი ისევ და ისევ საბჭოთა წყობის მიერაა თავსმოხვეული და არა ქართველი ერის ნების გამომხატველი. ხოლო ასეთ პარლამენტში რა მნიშვნელობა აქვს პიროვნულად ვინ იქნება არჩეული.

ახლა კი ამჟამად არსებულ ე. წ. უზენაეს საბჭოზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. იმისდა მიუხედავად, რომ 420 დეპუტატიდან ხალხს არც ერთი არ აურჩევია, როდესაც უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე ბატონ ნოდარ ნათაძისა და სხვათა მიერ წინასწარ შედგენილი ტექსტი წაიკითხა ე. წ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ და შემდეგ კენჭი უყარა , ყველამ ერთხმად მიიღო იგი. თავი არავის შეუკავებია, წინააღმდეგი არავინ წასულა. თუმცაკი ღრმად ვარ დარწმუნებული, ბევრმა მათგანმა დღემდე ვერ გაიცნობიერა, რა დადგენილებები მიიღო სესიამ.

მაშასადამე, ბატონო ნოდარ, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რაოდენ მართალი ვიყავი ერთი კვირის წინ თქვენთან კამათში, როდესაც გიმტკიცებდით, რომ სულ ერთია ვინ დაჯდება ე. წ. უზენაეს საბჭოში-მეთქი. აქედან გამომდინარე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა ჩავშალოთ საბჭოური არჩევნები.

რაც შეეხება წმინდა ქეთევან წამებულის ქართველ ქალთა პოლიტიკურ ორგანიზაციას, მე მაქვს რწმუნება მათი სახელით განვაცხადო, რომ ყველა წევრი ერთხმად უერთდება ფორუმის გადაწყვეტილებებს.

## გიორგი ჭანტურია

/ეროვნულ-დემოკრატიული პარტია/



მე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩვენ პარლამენტური გზის წინააღმდეგი არა ვართ. მაგრამ საბჭოთა პარლამენტი ფიზიკურად არ არსებობს და ცხადია პარლამენტური გზით ვერ ვივლით.

ჩვენ ვგმობთ დემოგრაფიულ ექსპანსიას, მაგრამ საკითხისადმი მიდგომა არის სხვა. არსებობს რაღაც-რაღაც საკითხები, რომლებზეც აქცენტი არ უნდა გადავიტანოთ, მაგრამ აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. ეს ელემენტარული ლოგიკის წესებია.

რაც შეეხება სახალხო ფრონტის საკითხს, ძე ვთვლი, რომ იქ ბევრი პატიოსანი ადამიანია და პირადად ბატონ ნოდარ ნათაძეს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მიუხედავად ამისა სახალხო ფრონტი არის ყოვლად მავნებლური ორგანიზაცია, რომელიც უნდა გაუქმდეს. მთავრობამ შექმნა სახალხო ფრონტები, რათა ისინი დაეპირისპირებინა რადიკალური ოპოზიციისათვის, მოჯდომოდა მას კისერზე და ეროვნული მოძრაობა წაეყვანა ყალბი გზით. სწორედ ამიტომ შეიქმნა ტყუპისცალებივით სახალხო ფრონტები ბალტიისპირეთში, მოლდავეთში, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში.

## გურამ პეტრიაშვილი

/ მწერალი /

ცოტა ხნის უკან მე მიმაჩნდა, რომ თუ ჩვენი უმაღლესი საბჭოს თავ-რე იქნებოდა ზვიად გამსახურდია, მაშინ უფრო ძლიერი იქნებოდა ჩვენი მოძრაობა. ამიტომ, მე მომხრე ვიყავი არჩევნებისა. ამის შესახებ მივწერე წერილი ხსნის კომიტეტს, რომელმაც ჩემი პოზიცია არასწორად მიიჩნია. გამოცდილებამ დაადასტურა, რომ პროფესიონალიზმი ყველაფერში საჭიროა. მე არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია პოლიტიკაზე

ეს ხალხი არიან პოლიტიკოსები, პროფესიონალები და მათ უხდებათ ამ საქმეზე არა მარტო ფიქრი, არამედ მოქმედებაც.

ჩვენი დელეგატებიდან დეპუტაციაში არავინ არ არის პოლიტიკოსი, გარდა გივი გუმბარიძისა, რომელიც მოქმედებს ედუარდ შევარდნაძის კარნახით, და რომლის პოლიტიკაც ჩვენ არ მოგვწონს.

მე მინდა გითხრათ, ჩემო კოლეგებო, ინტელიგენტებო, ვიდრე მორიგ ბრძოლას გავუმართავთ ამ ხალხს თქვენი დევიზით: "ფრთხილად, წინდახედულად, ნაბიჯ-ნაბიჯ", სისხლი არ დაიღვაროს", დავფიქრდეთ, ვერცერთი პოლიტიკური ბრძოლა მათთან ჯერ-ჯერობით ვერ მოიგო ინტელიგენციის ამ ნაწილმა.

სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ სესიის შემდეგ ბევრი რამ უფრო ნათელი გახდა ჩემთვის. გივი გუმბარიძე ვითომ ავად გახდა. მე გამოვაცხადე მიტინგზე, რომ ხვალ გახდეს კარგად-მეთქი და კიდევაც გახდა.

გივი გუმბარიძე ავად კი არ იყო, მთელ მსოფლიოში ეძებდა შევარდნაძეს, რომ მიეღო მისგან მითითება.

როდესაც გივი გუმბარიძე იყო ავად, მიტინგზე მოვიდა ზვიად გამსახურდია და განაცხადა, რომ ხვალ სესია უნდა გაიმართოსო. ერთი საათის შემდეგ გივი გუმბარიძე წამოფრინდა და გვითხრა, რომ სესია გაიმართებაო, გაიმართა კიდეც. მე მაშინ განვაცხადე, რომ სესიაზე მიღებული იქნა მონური დოკუმენტი. თუ შევადარებთ ამ დოკუმენტსა და დღეს წაკითხულ დადგენილებას, მივხვდებით, თუ რას ნიშნავს მონის მიერ მიღებული დოკუმენტი. მე მივმართავ ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც თავისი თავის დამკვიდრებისათვის ეჭიდება ამ ხალხს, მორჩეს ამ ჭიდაობას და მიემხროს ყველაფერს, რაც კანონპროექტშია შეტანილი. საქართველო ერთია და აქედან გაქცევა არ შეიძლება. მე სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ დიდი შეცდომა მოუვიდა ბატონ ნოდარ ნათაძეს, როცა აქედან წავიდა. მე მის ადგილზე გია ჭანტურიას თავთოთეთ[illegible] წაყენებული ბრალდების არგუმენტირებულ, საფუძვლიან დასაბუთებას.

შენიშვნა: გამოსვლების სტილი დაცულია

დროება

## რენო სირაძე

/საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის პასუხისმგებელი წარმომადგენელი საზღვარგარეთ, ფინეთის ჰელსინკის ჯგუფის წევრი/



ძვირფასო თანამემამულენო! 10 წელიწადია რაც საქართველოდან წავედი და მას შემდეგ იქ ვმოღვაწეობ. მე მაქვს პატივი მოგესალმოთ ფინეთის ჰელსინკის ჯგუფის სახელით, აგრეთვე ფინეთ-საქართველოს საზოგადოების სახელით და მოგითხროთ მოკლედ ის, რაც ხდება ჩვენს ჰელსინკის ჯგუფში. მე ხშირად მიხდება აქციებით გამოსვლა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ეს ძალზე ძნელია იმიტომ, რომ ინფორმაცია აქ მიმდინარე მოვლენების შესახებ მცირეა. უფრო მეტი ყურადღება გამახვილებულია მეზობელ ბალტიისპირა ქვეყნებზე. მე ვიცნობ პარიზელ ემიგრანტებს, რომლებიც საკმაოდ დეზინფორმირებულნი არიან, ინფორმაცია ჭრელი მისდით და სიტუაციაში გარკვევა რთულია არა მარტო მათთვის, არამედ ჩვენთვისაც. სამშობლოს გარეთ ცხოვრება ეს ისეთი რამ არის, თუ თავად არ გამოსცადე, ისე ძნელია ამის გაგება. მე გახლდით პარიზში გასულ წელს, ქართველი ემიგრანტების აზრი არაერთგვაროვანია. ისინი ძალზე დაბნეულები არიან, მაგრამ უფრო ხშირია ის აზრი, რომ რაც საქართველოში ხდება, ეს ყველაზე უკეთ ესმის ქართველ ხალხს და ჩვენი ჩარევა უბრალოდ არ შეიძლება.

მე ვიცი, რომ დასავლეთი ელის კონკრეტულ სიგნალებს. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, ეს არის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დანაწილება, ეს სიგნალია ყველაზე ცუდი. ან ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, ან არავინ - ამ სიგნალს ელის დასავლეთი. მე ვფიქრობ, რომ დარბაზის აზრია არ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა.

მე, პირადად მისაუბრია ფინეთის საგარეო სამინისტროს მრჩეველთან, რომელიც არის მრჩეველი სსრკ-ს საქმეებში. მან განაცხადა, რომ ერთი წლის უკან ვერც წარმოიდგენდნენ იმ მოვლენებს, რომელიც ახლა სსრკ-ში მიმდინარეობს. რაც შეეხება დასავლეთის პრესას, იგი უფრო დაინტერესებულია სისხლით. ეს ძალიან ცუდია, მაგრამ სინამდვილეს ვერსად ვერ წაუხვალ. როდესაც მე ვცდილობ ინფორმაცია მივცე იმის შესახებ, რომ საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობს ორგანიზებულად და ერთსულოვანია, ეს ხშირად არც კი აინტერესებთ.

ბოლოს, მე დავამთავრებ იმით, რომ ვფიქრობ საქართველო ერთსულოვანია და ერთ საქმეს ემსახურება.

## მოსწავლეთა პირველი კონფერენცია

I990 წლის 5, 6 და 7 თებერვალს თბილისის სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა მოსწავლეთა I საქალაქო კონფერენცია.

კონფერენცია მოაწყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სასკოლო პრობლემების კომიტეტმა. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 111 სკოლის 382 დელეგატმა, აგრეთვე სახალხო განათლების მინისტრის მოადგილემ ბატონმა კოტე გაბაშვილმა, ქ.თბილისის განათლების სამმართველოს უფროსმა ბატონმა მიხეილ მინდაძემ, I მაისისა და საბურთალო რაიონის განათლების განყოფილების გამგეებმა ბატონებმა მ.ბოქოლიშვილმა და თ.ნაცვლიშვილმა, ახალგაზრდა პედაგოგთა ასოციაციამ, დემოკრატ-პედაგოგთა კავშირმა, კონფერენცია ფართოდ გააშუქეს ტელევიზიამ, გაზეთებმა: "ახალგაზრდა კომუნისტმა", "სახალხო განათლებამ", დამოუკიდებელმა სააგენტომ "მაცნემ", აგრეთვე "საქინფორმმა".

I990 წ. 5 თებერვლის დილის I0 საათისათვის კონფერენცია გახსნილად გამოცხადდა, გაისმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი "დიდება".

კონფერენციის დელეგატებმა და სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მერაბ კოსტავას და ყველა იმ მამულიშვილის ხსოვნას, რომლებიც შეეწირნენ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. მოგვიანებით ასევე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ქ.თბილისის მე-6 საშუალო სკოლის დირექტორის ვაკო დვალიშვილის ხსოვნას, რომელიც კონფერენციის დაწყებამდე რამოდენიმე დღით ადრე იქნა მოკლული. დიაკვანმა გოჩა აბულაძემ ჩაატარა ქადაგება და ლოცვანი. ამის შემდგომ კონფერენცია შეუდგა მუშაობას. დამტკიცდა დღის წესრიგი:

I. სკოლის დეპოლიტიზაცია, დეიდეოლოგიზაცია
2. სასკოლო პრობლემები.
3. დანაშაულობანი მოსწავლეთა შორის
4. ერთიანი სასკოლო ორგანიზაციის შექმნა
5. სხვა და სხვა

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საკითხთან დაკავშირებით გაიმართა საკმაოდ ცხარე კამათი, მოსწავლეებს საშუალება მიეცათ თავიანთი აზრების სრულად გამოთქმისა, რამაც საბოლოოდ მეტად დადებითი შედეგი გამოიღო. მოსწავლეთა კონფერენციის მიერ დაგმობილ იქნა ყოველგვარი პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა სკოლებში, როგორც კომკავშირის, პიონერის და ოქტომბრელის, ასევე იმ ორგანიზაციების, რომლებიც შექმნეს თვით მოსწავლეებმა. ამ საკითხთან დაკავშირებით კონფერენციამ კომკავშირის ცკ-ს გადასცა რეზოლუცია, სადაც მოითხოვეს კომკავშირის რიგგარეშე ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა და კომკავშირის, როგორც ასეთის, სრული თვითლიკვიდაცია.

ასევე საინტერესო გამოდგა დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განხილვა. ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა მიმართვა საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი.

ქ.თბილისის მოსწავლეთა I საქალაქო კონფერენციის მიმართვა საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი.

ჩვენო დანო და ძმანო, როგორც ვიცით, ამ ბოლო დროს იმატა მოსწავლეთა შორის ერთურთის სიცოცხლის ხელყოფამ და სხვა დანაშაულობებმა. ჩვენდა სამწუხაროდ მოსწავლეების დიდი ნაწილი ატარებს ცივ და რიგ შემთხვევებში ცეცხლსასროლ იარაღს.

მოსწავლეთა I საქალაქო კონფერენცია მოუწოდებს სრულიად საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობას:

[illegible] ქართველ დედას კაცთმოყვარეობა უქადაგია ჩვენთვის, რამეთუ ქრის-[illegible] ქადაგებს - "არა კაც ჰკლა", რამეთუ სკოლასა და ოჯახს მოყვასის სიყვარული უსწავლებია, რამეთუ სიცოცხლის ხელყოფის უფლება [illegible] ვის უფლებას აღემატება, რამეთუ ერის დაწერილი თუ დაუწერელი ყველა კანონი კაცის კვლას ყველაზე უფრო დიდ დანაშაულად მიიჩნევს და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როდესაც დედა სამშობლო, აკვნიდან ითვლის თავის დამცველებს, არავის არა აქვს უფლება, თუნდაც ერთი მაცოცხლებელი ფესვი მოჰკვეთოს თავის სამშობლოს, რითაც მას შესაძლებლობას უსპობს მისგან თუ არა, მის მიერ გარწირული კაცისაგან მაინც იყოს დაცული.

ყოველივე ზემოთქმულის არ გაგება , არ შესისხლხორცება და არ გააზრება მხოლოდ ერის მოღალატის თვისება შეიძლება იყოს. ასეთი ადამიანი ერის მოღალატეა და მას შენდობა არ აქვს.

მე-2 დღეს კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბატონმა ზ.გამსახურდიამ და ბატონმა ირ.წერეთელმა, ირ.წერეთელმა აღნიშნა, რომ მას მართებულად არ მიაჩნია ერთიანი სასკოლო ორგანიზაციის შექმნა ერთი წესდებითა და პროგრამით და მოსწავლეების ჩასმა მკაცრ სტრუქტურებში და მოუწოდა გაერთიანება ერთიან მოსწავლეთა ფრონტში, ყოველგვარი წესდებისა და პროგრამის გარეშე, რომელიც გადაწყვეტდა შიდა სასკოლო პრობლემებს და ერთგული მიმდევარი იქნებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, აგრეთვე კმაყოფილებით აღნიშნა მოსწავლეთა აქტიურობა, რომელიც შეიმჩნევა ჩვენს მოძრაობაში, ოღონდ სკოლის ფარგლებს გარეთ. სკოლებში კი დაგმო ყოველგვარი პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობა და მოუწოდა მოსწავლეებს სწავლისაკენ და ურთიერთ სიყვარულისაკენ, რომელიც ესოდენ დასჭირდება მომავალ თავისუფალ საქართველოს. რაც შეეხება კონფერენციის მუშაობის მე-3 დღეს, მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და და-



სრულდა ბრწყინვალედ, რომელსაც სიმართლე გითხრათ არ მოველოდით. ამ დღეს საუბარი იყო ერთიანი სასკოლო ორგანიზაციის შექმნაზე, ვინაიდან სკოლებში იქმნებოდა მრავალი ორგანიზაცია, ადგილი რომ არ ჰქონოდა გათიშულობას და დაქსაქსულობას, ჩვენ თავიდან ვფიქრობდით შეგვეერთებინა ყველა ეს ორგანიზაცია და ჩამოგვეყალიბებინა ერთიანი სასკოლო არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რასაც დელეგატთა უმრავლესობა დაეთანხმა, დაიწყო წესდებისა და პროგრამის პროექტების განხილვა, ამ დროს ჩვენ დელეგატებს, გთხოვთ სწორად გამიგოთ, შევაპარეთ წინადადება რომ სკოლაში არანაირი ორგანიზაცია არ უნდა არსებობდეს და გავაუქმოთ არსებული და შევქმნათ უბრალო სასკოლო საკრებულო ყოველგვარი წესდებისა და პროგრამის გარეშე. სიტყვა "შევაპარეთ" იმიტომ ვიხმარეთ, რომ სიმართლე გითხრათ, იქიდან გამომდინარე თუ როგორი გატაცებაა დღეს საქართველოში ორგანიზაციების შექმნისა, მეგონა რომ არაფერი გამოგვივიდოდა, მაგრამ მოსწავლეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მცირეოდენი განმარტების შემდეგ მათ ეს წინადადება მიიღეს მხურვალე აპლოდისმენტებითა და ოვაციებით და მე დავინახე, თუ როგორი შეგნებული თაობა მოდის საქართველოში, და ვერავინ ვერ დამაჯერებს, რომ თუ მოსწავლეს სწორად მიუდგები და აუხსნი, არ დაიჯეროს სიმართლე.

მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო დელეგატებს, რომლებმაც ობიექტურად შეაფასეს სიტუაცია და მოიქცნენ ისე, როგორც ეს დღევანდელ სკოლას სჭირდება. მათ გააუქმეს მათივე შექმნილი ორგანიზაციები /ასეთი კი ოცამდე იყო/ და გაერთიანდნენ ერთ საძმოში - სასკოლო საკრებულოში. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ერთმა ორგანიზაციამ არ მოიმოქმედა ისე, როგორც სხვა დანარჩენმა. მე ეხლა მის დასახელებას არ ვაპირებ, რადგან მჯერა რომ იგიც გაერთიანდება იქ, სადაც დღეისათვის გაერთიანებულია I00-მდე სკოლა და მჯერა ამ I00 სკოლას შემოუერთდება ის სკოლებიც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ დაესწრნენ კონფერენციას.

ასე, რომ კონფერენციამ გაამართლა თავისი დასახული მიზნები. იგი ჩატარდა მეტად საქმიანად და საინტერესოდ. კონფერენციის მიერ გაუქმებულად გამოცხადდა ყოველგვარი პოლიტიკური ორგანიზაცია, დაისახა გზები დანაშაულობების თავიდან ასაცილებლად და რაც მთავარია მოხდა მათი სრული და ურღვევი კონსოლიდაცია. რაც შეეხება სასკოლო პრობლემებს, მის გადასაჭრელად ამ საქმის ყველა ჭეშმარიტ გულშემატკივართან ერთად იბრძოლებს ახლად შექმნილი საძმო-მოსწავლეთა საკრებულო. აგრეთვე კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები არსებული ხელისუფლების მისამართით, სადაც მოითხოვენ სკოლებიდან საარჩევნო უბნების გატანას, განათლების სისტემის სრულ ავტონომიას გაზეთ "სახალხო განათლების" გადაცემას განათლების სამინისტროსათვის და ლოზუნგის -"პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!" დაუყოვნებლივ ჩამოღებას.

მომავალში გათვალისწინებული გვაქვს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთიანი კონფერენციის მოწვევა. აგრეთვე კონფერენციების გამართვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და ბოლოს, ალბათ შემოდგომისათვის, მოსწავლეთა რესპუბლიკური კონფერენციის მოწვევა. დღეს ყველა ჩვენთაგანმა უნდა შეიგნოს, რომ ის თაობა, რომელმაც უნდა შეინარჩუნოს და ააყვავოს თავისუფალი საქართველო, დღეს სკოლის მერხებს უზის და მათ უდიდესი ყურადღება სჭირდებათ, რადგანაც, როგორც მათ გავზრდით დღეს, ისეთ შედეგს მივიღებთ ხვალ, უკვე თავისუფალ საქართველოში, ხოლო თავისუფალ საქართველოს როგორი მცოდნე და განათლებული თაობა სჭირდება, ეს ყველას კარგად მოგვეხსენება.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი საქართველოს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში!

გია ანდღულაძე,
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
სასკოლო პრობლემათა კომიტეტის ხელმძღვანელი





ლიტვის დროშა და გერბი

მთელი მსოფლიოს ყურადღება ახლა ლიტვისკენაა მიპყრობილი, როგორ დარეგულირდება ეს საკითხი, შესძლებს თუ არა ლიტვა თავი დააღწიოს საბჭოთა იმპერიის სისხლიან კლანჭებს? აი, ის კითხვები, რომლებიც აღელვებს ცივილიზებულ საზოგადოებრიობას. თავისთავად მის მიმართ არც ქართველი ერი არის გულგრილი, რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს 24 მარტს თბილისში ლიტველთა მხარდასაჭერად გამართული მიტინგი და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მეორე კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუციები ლიტველი ხალხისა და სსრკ-ს პრეზიდენტ გორბაჩოვისადმი.

/სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს "ეჭვი გვეპარება" საბჭოურ პირობებში პარლამენტური გზით გამარჯვების მიღწევაში/.

საკავშირო ტელევიზია, რადიო და პრესა განუწყვეტლივ გადმოსცემენ სამარცხვინო დეზინფორმაციებს, რომლებიც ატარებენ ცალმხრივ, აშკარა ტენდენციურ ხასიათს. ობიექტური ინფორმაციის დეფიციტის პირობებში ჩვენი მკითხველებისთვის ვფიქრობთ უინტერესო არ იქნება ლიტვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ვიტაუტას ლანდსბერგისი ინტერვიუ, რომელიც მან მისცა პოლონურ "გაზეტა ვიბორჩიეს".

# ვიტაუტას ლანდსბერგისი: თავისუფლების ფასი

კითხვა: რეალურია თუ არა სსრკ-ს მიერ ლიტვის მიმართ ეკონომიკური ბლოკადის მოწყობა?

ჩვენ ვიცით, რომ ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ასეთი უნდა იყოს თავისუფლების ფასი, ლიტვის საზოგადოებრიობა მზად არის მის გადასახდელად. სკანდინავიის ქვეყნებმა აღგვითქვეს ჩვენ დახმარება. ბედნიერი შემთხვევითობით, ჩვენ გვაქვს ატომური ელექტროსადგური, რომლის აშენების წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებდით ორი ერთი წელი. ახლა იგი დაგვჭირდება. ჩვენ აღმოვაჩინეთ ნავთობის საკუთარი საბადოები, რომლების ექსპლუატაციასაც ახლა ვიწყებთ. ისინი უზრუნველყოფენ ჩვენს მოთხოვნილებებს დაახლოებით 30%-ით. მოსკოვი, შესაძლებელია, მართლა შეაჩერებს ნედლეულის მოწოდებას, მაგრამ ის რასაც ჩვენ ვაწარმოებდით მათი მოწოდებული ნედლეულით, მაინც უკან ბრუნდებოდა სსრკ-ში.

კითხვა: რა პოზიცია დაიკავეს ლიტვის დამოუკიდებლობის მიმართ საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც განლაგებულია თქვენს ტერიტორიაზე, და სუკ-მა?

არმია ეგუება ჩვენს მოთხოვნებს. მილიციამ უკვე დიდი ხანია გამოხატა ლოიალურობა ლიტვის სახელმწიფოს მიმართ, სუკ-ის აპარატს კი ნაწილობრივ ჩვენი ხალხი დაეპატრონა.

ალბათ გარკვეულ სიძნელეებს შევხვდებით იმ წრეებისაგან, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საბჭოთა ხელისუფლებასთან;

18 მარტს ვილნიუსის ცენტრში დანიშნულია საპროტესტო მიტინგი. მისი ორგანიზატორია "ედინსტვო" – ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს რუსულენოვან მოსახლეობას და სოციალიზმის დაცვის კომიტეტს, რომელშიც შედიან საბჭოთა პარტიული ფუნქციონერები. ვიმედოვნებ, რომ პოლონელები არ მიიღებენ მონაწილეობას ამ მიტინგში.

პოლონელმა დეპუტატებმა გამოავლინეს თავიანთი ლოიალურობა ლიტვისადმი. ლიტვის დამოუკიდებლობის დეკლარირებისას ის ფაქტი, რომ არცერთმა მათგანმა ხმა არ მისცა ჩვენს საწინააღმდეგოდ, ხოლო სამმა მხარი დაგვიჭირა, სამუდამოდ დარჩება ლიტველი ხალხის ხსოვნაში.

/იმ რვა დელეგატიდან, რომლებიც იმყოფებოდნენ დარბაზში, მხოლოდ ექვსმა შეიკავა თავი ხმის მიცემისაგან – ყველა ისინი ეროვნებით პოლონელები არიან, რომლებიც ირიცხებიან სკკპ პლატფორმაზე მყოფ ლიტვის კომპარტიაში. დანარჩენმა დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ლიტვის დამოუკიდებლობას – "გაზეტა ვიბორჩიეს" რედაქციის შენიშვნა/.

სამშაბათს მსოფლიო სააგენტოებმა გამოაქვეყნეს ლიტვის კომპარტიის ცკ-ს მდივნის ბრაზაუსკასისა და ესტონეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის რიუტელის განცხადებები რომლებშიც ლაპარაკი იყო ლიტვა-სსრკ-ს მოლაპარაკების დაწყების შესახებ...

არ შემიძლია ამ შეხვედრის ზუსტი ვადის დასახელება, მაგრამ ჩვენ ალბათ უახლოეს მომავალში შევხვდებით ერთმანეთს.

შესაძლებელია, მოლაპარაკების დაჩქარება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია პოზიციასთან, რომელსაც დაიჭერენ ამ საკითხისადმი სხვა ქვეყნების ხალხები და მთავრობები.

კითხვა: რაზე იქნება საუბარი მოლაპარაკებისას?

ჩვენ ვიცით, რომ მიუხედავად დამოუკიდებლობის ფორმალურად გამოცხადებისა, მისი მოპოვება სინამდვილეში შესაძლებელი გახდება ხანგრძლივი პროცესის შემდეგ, რისი პირობებიც საჭიროა შევათანხმოთ მოსკოვთან. თუმცა, წინასწარ საჭიროა გავარკვიოთ ის პრინციპები, რომლებითაც ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ჩემის აზრით საბჭოთა მხარეს ეშინია იმის, რომ ლიტვის დელეგაციასთან ოფიციალური მოლაპარაკება იქნება ჩვენი სუვერენობის ფაქტიური აღიარება. ჩვენ არ გავურბივართ არაოფიციალურ კონტაქტებს, მაგრამ ვალდებულების აღება შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვცნობენ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენლებს.

## მიტინგი თერჯოლაში

ამა წლის 15–17 თებერვალს თერჯოლაში სედპ-ს წარმომადგენლებმა კ.ჩოგოვაძემ, გ.თვალავაძემ, ნ.ჭიპაშვილმა და ლ.ბარბაქაძემ ჩაატარეს მიტინგი, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა იმერეთის რეგიონში. მიტინგი დაიწყო ადგილობრივი კომპარტიის რეზიდენციასთან და დაგვირგვინდა ავტოდაფეს მოწყობით და ქვის გადატრიალებით /რომელსაც „ამშვენებდა" წარწერა – აქ აღიმართება პროლეტარიატის დიადი ბელადის ვ.ი.ლენინის ძეგლი/.

მიტინგის შემდგომ თერჯოლაში ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სედპ-ს ერთ-ერთი აქტივისტი დავით კუპატაძე.



როგორც შემდგომ შევიტყვეთ სედპ-ს თერჯოლის ორგანიზაციის მიერ ქალაქის ცენტრში ჩამოგდებულ იქნა ლენინის ძეგლი.

## ვულოცავთ!

სედპ-ს წევრებმა ნუგზარ ქანთარიამ და ხათუნა ბეჟანიშვილმა შექმნეს ქართული ოჯახი. ვულოცავთ მათ გაბედნიერებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და გამრავლებას.



"ამერიკის ხმა" გვატყობინებს, რომ 1990 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირმა შეისყიდა 2 მლნ. ტონა ხორბალი. დაგეგმილი აქვს ამავე წელს კიდევ შეისყიდოს 14 მლნ. ტონა, რაც 2 მლნ. ტონით მეტია წინასწარ გათვალისწინებულ გეგმაზე.

რადიოსადგურის კორესპონდენტი ლინდა კაჟდა იუწყება, რომ ეს მოვლენა ძველთ კონკურენციას გამოიწვევს მსოფლიოში ხორბლით მოვაჭრე ქვეყნებს შორის.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

მიხეილ გორბაჩოვმა—აცხადებს "ამერიკის ხმა"— სსრკ უმაღლეს საბჭოს მოუწოდა, რომ სამაგალითოდ დასაჯონ ის პიროვნებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ეროვნებათშორის შუღლს თესავენ. საინტერესოა, დაისჯება თუ არა, თვით მიხეილ სერგის ძე?..

რედაქტორი – კოტე ჩოგოვაძე
ტექნიკური რედაქტორი – ვაჟა ქუნთელია
პასუხისმგებელი მდივანი – გია თვალავაძე

სარედაქციო კოლეგია: მ. ნაცრიაშვილი, ე. კახიძე, ლ. ქევხიშვილი, ზ. კვიციანი, გ. ბელიქიძე, მ. თურმანიძე

ფოტოკორესპონდენტები: ლ. ბარბაქაძე, დ. გორდელაძე

კორესპონდენციები შეგიძლიათ გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე: 380015 თბილისი "ოქროთხევაძე" კ. გ. ჩოგოვაძე
93.70.81.

ფასი 1 მან